საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 503 2019 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სოლიდარობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 7 ოქტომბრის №405 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სოლიდარობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 7 ოქტომბრის №405 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №1022 განკარგულებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სოლიდარობის ფონდის წესდების“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

ა) დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სოლიდარობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს მუდმივი წევრები:

გიორგი გახარია – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

ეკატერინე ტიკარაძე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საბჭოს წევრი;

ივანე მაჭავარიანი – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს წევრი;

დავით ზალკალიანი – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საბჭოს წევრი;

ნათელა თურნავა – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საბჭოს წევრი;

მიხეილ ჩხენკელი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, საბჭოს წევრი;

ნათია მეზვრიშვილი – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, საბჭოს წევრი;

ბ) განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სოლიდარობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაზე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე პირი:

საბინე მახლი – გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში.”.

გიორგი გახარია